



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2022 წლის 15 ივლისი

**დისციპლინური საქმე №115/22
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

-- -- 2022 წლის 28 ივნისის №115 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას ხდის სადავოდ.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 16 თებერვალს --- -- სარჩელით მიმართა --- -- სასამართლოს მოპასუხეების --- --, --- --, --- -- და --- -- მიმართ სამკვიდრო მოწმობის, ჩუქების და ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

2018 წლის 2 მაისს მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

სასამართლო სხდომები გაიმართა 07.02.2019; 18.04.2019 და 23.04.2019 წწ რიცხვებში.

2019 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით --- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75² მუხლის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი.

ხანდაზმულობის ვადას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დისციპლინური სამართალწარმოების-თვის, ვინაიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად,

დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისათვის აუცილებელია, რომ საჩივარი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილი იყოს ქმედების ჩადენიდან 3 წლის განმავლობაში.

ხანდაზმულობის ვადები დისციპლინურ სამართალწარმოებაში გამოიყენება მხოლოდ საჩივრის წარდგენასთან მიმართებით. საჩივრის წარდგენის შემდეგ თავად სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანო ხანდაზმულობის ვადით არ არის შეზღუდული, რადგან ხანდაზმულობის ვადის დენა საჩივრის წარდგენით წყდება.

ხანდაზმულობის ვადის მიზანია თავიდან აიცილოს ისეთი შემთხვევა, როდესაც საჩივრის დაგვიანებით წარდგენა შეუძლებელს ხდის ან აფერხებს კონკრეტული საქმის მოკვლევას და საქმის გარემოებების სრულყოფილ შესწავლას. ამასთან, ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის არსებობა უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობასა და განჭვრეტადობას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ, ამოიწურა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა.

ორგანული კანონის ზემოაღნიშნული დებულება დამოუკიდებელ ინსპექტორს ანიჭებს უფლებამოსილებას თავად მიიღოს გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ საჩივრის წარმოდგენამდე გასულია 3 წელი.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გადაწყვეტილება მოსამართლე -- -- მიერ მიღებულ იქნა 2019 წლის 23 აპრილს, ხოლო საჩივარი წარმოდგენილია 2022 წლის 26 ივნისს, გასულია მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა - 3 წელი, რის გამოც, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება უნდა შეწყდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75² მუხლით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №115/22 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი